ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 8 აგვისტო, 2020 წელი

დრო: 13:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
3. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია ტოლერანტი
8. ნუგზარ კოხრეიძე - თაობათა დიალოგი

განსახილველი საკითხები:

- ✓ საერთო პოზიციის დოკუმენტის მომზადების საკითხი
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტუღუშმა.

მმართველი კომიტეტის წინა შეხვედრაზე, საბჭოს წევრებმა განიხილეს ახალი ინიციატივა საერთო პოზიციის დოკუმენტის შემუშავების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის ადრსატები ძირითადად იქნებიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც 2020 წლის არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. დოკუმენტში გაწერილი იქნება ეროვნული პლატფორმის ხედვები ევროპული ინტეგრაციის ჭრილში. სექტორების მიხედვით გამოყოფილი იქნება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებები. ხაზგასმით იქნება თქმული, რომ ევროკავშირში წევრობის განაცხადის გაკეთება უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მიზანი. შესაბამისად ნაჩვენები იქნება პლატფორმის ხედვები იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას. დოკუმენტის არსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო, რომ ინიციატივას ჰქონოდა მაქსიმალური მხარდაჭერა. ეროვნული პლატფორმის მმართველმა კომიტეტმა, განხილვების შედეგად, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებით.

შესაბამისი სამუშაო ჯგუფების კოორდინატორები, აგვისტოს ბოლომდე, მოამზადებენ კონკრეტულ ხედვებს ჯგუფის თემატიკის ფარგლებში და გადაუგზავნიან ეროვნული პლატფორმის სამდივნოს. ამის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭო შეიკრიბება და დოკუმენტს ერთიან ფორმატად ჩამოაყალიბებს.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე